საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/130

ქ. ბათუმი 04 ნოემბერი, 2022 წ.

,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 ოქტომბრის №06-01/117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე და 23-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-8 და მე-40 მუხლების და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 25 ოქტომბრის N06-01/117 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) დადგენილების მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს **2022 წლის 7 ნოემბერს, 11:00 სთ-ზე.**

6. აკადემიური საბჭოში ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევისათვის ფარული კენჭისყრა (არჩევნები) ჩატარდეს **2022 წლის 7 ნოემბერს, 13:00 სთ-ზე.“;**

ბ) დადგენილების N2 დანართის (განცხადების) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და **სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყება 2022 წლის 7 ნოემბერს, 11:00 სთ-ზე,** ხოლო არჩევნები **(ფარული კენჭისყრა)** ჩატარდება **2022 წლის 7 ნოემბერს, 13:00 სთ-ზე.“.**

2. ეთხოვოს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უზრუნველყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების მოწვევა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

თანამდებობის კანდიდატის სამოქმედო გეგმის განხილვაზე აკადემიური საბჭოს სხდომაზე, **2022 წლის 7 ნოემბერს, 11:00 სთ-ზე.**

3. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტი (N06-01/117 დადგენილების N2 დანართი) შეიცვალოს წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი N1)** და გამოქვეყნდეს:

ა) ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე www.bsu.edu.ge (კონკურსების ველში) - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ;

ბ) ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) – ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარიას) და ფაკულტეტების დეკანების ოფისების მიერ.

4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. დადგენილება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.

6. დადგენილება ძალაში შევიდეს ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

7. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**